რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ბიბლიოთეკა

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

25 სექტემბერს.

პეტერბურგი. «ჟურნალ დე სან პეტერბურ» იწერება, რომ უცხოელი გაზეთები კიდევ ავრცელებენ რუსეთზე წარამარა და განძრახ მოგონილს ცნობებს; «დეილი ნიუს» ამტკიცებს, ვითომც კოლპინოში, ხარკოვში, და სიმბირსკში დაეტუსაღებინოთ ბევრი ოფიცრები და აღმოეჩინოთ მრავალი დინამიტი: «პესტა ლოიდ»-ი აზვიადებს ეკატერინოსლავის გუბერნიაში ერთი მოურავის მოკვლას და ამტკიცებს, ვითომც სამხრეთ რუსეთში გლეხების ამბოხება მომხდარიყოს; «ჟურნალ დე სან პეტერბურ» ჰკიცხავს ამ გვარს მოქმედებას უცხოელი მწერლობისას, რომელიც რაღაცა მედუქნური ანგარიშით არ თაკილობს ტყუილის მოგონებას.

გენერლები სობოლევი და კაულბარსი მოვიდენ პეტერბურგში.

გუშინ, დილის შვიდს საათზე, ტურგენიევის ცხედარი მოიტანეს ვერჟბელოვის სტანციაში და ეკლესიაში დაასვენეს, სადაც დარჩება ორშაბათამდის და მერე პეტერბურგში წაიღებენ. ეკლესიის წინა-მძღვარმა პანაშვიდი გადაიხადა; ბალდახინის გარშემო აწყვია სამზღვარ-გარეთელი და ახლო-მახლო ადგილებიდამ გამოგზავნილი გვირგვინები. პეტერბურგში ცხედარს მოიტანენ სამშაბათს დილის თერთმეტს საათზე.

ეკატერინოსლავი. როდესაც საამნაურო კრება დაიწყო, წინამძღოლი ადგა ფეხზე და წაიკითხა ხელმწიფე იმპერატორის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა აზნაურობას გვირგვინის კურთხევის დროს; აზნაურებმა «ურას» ძახილით მიიღეს ეს სიტყვები და ერთხმად გადასწყვიტეს: მიართვან ხელმწიფე იმპერატორს ადრესი, რომელშიაც გამოუცხადონ თავის ერთგულება.

ბერლინი. რუსეთის ელჩი საბუროვი მოვიდა უკან თავის თანამდებობაზე.

პარიჟი. ესპანიის ელჩმა მოაგონა საფრანგეთის მმართებლობას, რომ დემონსტრაციის მომხდენნი არ დაისაჯნენ და ოფიციალურს გაზეთში არ დაიბეჭდა რესპუბლიკის პრეზიდენტის გრევის მეფე ალფონსთან მოლაპარაკების ნამდვილი სიტყვები.

კონსტანტინეპოლე. ოფიციალური წრეები ამტკიცებენ, რომ დიუფერინს განსაკუთრებითი არაფერი აქვს მინდობილი.

რეველი. დერპტში ცეცხლის წაკიდების დამნაშავედ აღმოჩნდა იქაური უნივერსიტეტის პეტერბურგელი სტუდენტი; ცეცხლის წამკიდებელი დაატუსაღეს.

პიშტი. მაილოტის მკვლელთ: სმანგოს, პიტელის და ბერეჩს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ სამთავემ აპელიაცია შეიტანეს.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრი არ წავა სამზღვარ გარეთ, ვიდრემდის მათი იმპერატორებითი დიდებულებანი არ დაბრუნდებიან.

რადგანაც სამხრეთ გუბერნიებში საქონლის ჭირი გაჩნდა, ამისათვის აკრძალულია ჩვენი შავის ზღვის პორტებიდამ სათათრეთის პორტებში საქონლის წაყვანა.

ტურგენიევის ცხედარს მოასვენებენ 27 სექტემბერს, დილის 10 საათზე და 20 წამზე. პროცესაში მონაწილეობას იღებენ 176 დეპუტაცია და ამ რიცხვში სატახტო ქალაქების და მრავალთა პროვინციების სასწავლებელთა, მეცნიერთა საზოგადოებათა, იმპერატორის თეატრების არტისტთა, სატახტო ქალაქების და პროვინციების გაზეთების რედაქციათა და ნემეცური გაზეთების კორესპონდენტთა დეპუტაციეპიც იქნებიან; პროცესიის თავში ტურგენიევის ნაყმევი გლეხები იდგებიან, ხოლო კოშკში პეტერბურგის აზნაურობის წინამძღოლი, მეცნიერებათა აკადემიის, მოსკოვის და პეტერბურგის საბჭოთა დეპუტაციები.

პეტერბურგში პირველად თოვლი დღეს მოვიდა და ერთი გრადუსი ყინვაა.

«ნოვოე ვრემია» ამბობს, რომ ამურში გენერალ-გუბერნატორობა წესდება და ცენტრად რომელი ადგილი იქნება, ჯერ არ გადაუწყვეტიათ; ზოგის ფიქრით ვლადივოსტოკი უნდა იყოს, ზოგის ფიქრითაც ბლაგოვეშჩენსკი; ისევე გაზეთი იწერება, ავგანელებმა დაიპყრეს შუგნანი, ამუდარიის სათაურში ფერგანთან, და ამ სახით ავგანის სამზღვარმა ჩვენი სამზღვრისკენ მოიწია.

პარიჟი. ტონკინის ჯარების მთავარ-სარდალი ; ადმირალი კურბე ტელეგრამით გვაუწყებს, რომ ცუდი გზების გამო, ზედმისვლით ომი შეჩერდა, მაგრამ ისეთი ადგილები უჭირავთ ჯარებს, რომ შეუძლიანთ უშიშრად მოუცადონ დაპირებულ მოშველე ჯარის მოსვლას.

კოპენჰაგენში. ხელმწიფე იმპერატორი და უელსის პრინცი ხვალ სანადიროდ მიდიან შვედის გრაფთან ტორერგიელმთან.

სოფია. ცანკოვმა წაუკითხა სახალხო კრებას სამინისტროს პროგრამა და გამოუცხადა, რომ კაბინეთსა და აღდგენილს კონსტიტუციის შუა კანონიერი თანხმობა არისო. პროგრამა ტაშის კვრით მიიღეს.

## თბილისი, 27 სექტემბერს.

ჩვენის გაზეთის 189 №-ში დაბეჭდილი იყო ბ. გრ. უმწიფარიძის შენიშვნა შესახებ ქართულის ენის შეტანის საგნად ჩარიცხვისა სასულიერო სასწავლებლებში. ავტორი ამბობს თავის შენიშვნაში, რომ ამ ჟამად ქართულის ენის მასწავლებლობას ეტანებიან ისეთნი პირნიო, რომელთაც არც ჯეროვანი განათლება მიუღიათ და არც იმოდენად აქვთ შეგნებული დედა-ენის მნიშვნელობა, რომ რიგიანად ასრულონ მასწავლებლობის მოვალეობაო. შესაძლებელია, რომ ავტორი ამ შემთხვევაში სრულიად მართალი იყოს, რადგანაც, საზოგადოდ ყოველს ახალს საქმეს, რა გვარიც უნდა იყოს იგი, ეპოტინებიან ისეთნი პირნი, რომელნიც აფასებენ არა თვით საგანს, არამედ იმ პირადს სარგებლობას, რომელსაც მათ უქადის ახალი საქმე. ეს გარემოება გასაკვირველიც არა არის: საზოგადოებაში ბევრია იმისთანა, რო-

---

## «დროების» ფელეტონი, 28 სექტემბ.

### ციცია *)

(მოთხრობა)

### XIII

ამ შემთხვევის შემდეგ, ცოტა ხანმა რომ გაიარა, ორნივ რაოდენათმე დამშვიდდენ.

ციციამ უამბო თავის თავგადასავალი და ბევრი მღელვარების შემდეგ გამოუცხადა, რომ მას საქმრო ჰყავს, მაგრამ, რადგანაც ის ღარიბი არის, მამა ქორწინების ნებას არ აძლევს. გააგებინა, რომ ბექია მოტაცებას უპირებდა და ერთმანერთთან ფიცი ჰქონდათ მიცემული.

იფიქრეს და მოიაზრეს, რომ იმ ღამეს იქ დარჩენილიყვნენ, მეორე დილით ახლო სადმე სოფელში გასულიყვნენ და იქ მასპინძელი ეშოვნათ. ციცია მასპინძლისას უნდა დარჩენილიყო და სულთი კი ბექიას მოსაყვანად წასულიყო.

ასე იმისთვის გადასწყვიტეს, რომ უკან გასვლა გაჭირდებოდა, რადგან წარსული შემთხვევა დარიელაში მყოფს გუშაგებს ერთი-ორად უფრო გააფთხილებდა.

საღამომ მოაღწია, როდესაც ბეგიდგან ჯერ ცხენები ამოჩნდა და მერე მურთუზას მხარ-ბეჭი. ის წყნარად მოიზლაზნებოდა და ისე მოერეკებოდა ცხენებს. ზურგზედ იმოდენი ხმელი ბალახის ტვირთი წამოეკიდნა, რომ პირველში გეგონებოდათ თივა თავის-თავად მოძრაობსო.

ამოსვლის უმალ, მურთუზა შესდგა და ბინისაკენ გამოიხედა. იმან დაინახა, რომ ხის გვერდით სულთი და ციცია მშვიდობიანად და წყნარად მიმსხდარან და ერთმანერთს ესაუბრებიან.

— შარიგებულან, იფიქრა იმან და შეფერხდა.

უნდოდა დრო მიეცა შეყვარებულებისთვის განშორებულიყვნენ, რადგანაც გარეშე პირთან ახლად დაქორწინებულნი ერთმანერთს უნდა მორიდებოდენ.

მურთუზამ აილო თავი და გაკვირვებულმა დაინახა, რომ ისინი სრულიადაც არა ჰფიქრობდენ ერთმანერთის მოშორებას.

— ტიალი სიყვარული!—წყნარად წარმოსთქვა ჩეჩენმა,—რას არ აქნევინებს კაცს?!... თავი იქამდის დავიწყებიათ, რომ ვერც კი მამჩნევენ.

ჩეჩენმა დაიწყო შტვენა, ქვების სროლა, ხმაურობა, ვითომც ცხენებს ერეკებოდა და საქმით კი მიჯნურების ყურადღების მიქცევა უნდოდა, მაგრამ სულთი გაუნძრევლად იჯდა, პირ-და-პირ მიმავალს ამხანაგს უყურებდა და ადგილის გამოცვლას არც კი ჰფიქრობდა.

მურთუზამ კიდევ შეხედა და გაკვირვებულმა დაუწყო ყურება, თითქოს შეტყობა უნდოდა, რა მიზეზი არღვევინებს მამა-პაპის ჩვეულებას. ბოლოს მოსწყინდა ასე დგომა, არამცირედი ბალახის სიმძიმემაც შეაწუხა და წყნარად გასწია ბინისაკენ.

— სად მოგიგროვებია ეგ ბალახი?—შორიდგანვე დაუძახა სულთიმ, რომელიც ჯერ კიდევ გაცრეცილი იყო მაგრამ თავი კი სრულიად დაემორჩილებინა.

— შევვით ღელეში... ამაღამ ეცივება და ძირს დავიგებთ.

მურთუზას პირ-და-პირ არ უნდოდა ეთქვა, რომ ბალახი ციციას საგებლად მოიტანა.

— დაუ!—ხმა მაღლა, ისე მაღლა მიუბრუნდა ციციას, რომ მურთუზას

*) იხ. «დროება» № 188.

მელთაც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო გზა და კვალი დაბნევიათ და არ იციან რას მიჰყონ ხელი, ან არა და ნადირის ინსტიქტებით არიან აღვსილნი. ამიტომაც, ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენშიაც ქართულის ენის ახლად დაბადებულს თანამდებობას იმისთანები ეძიებდენ, რომელთაც არც ნიჭით არც სწავლა-განათლებით და არც ზნეობით არ შეჰფერით მასწავლებლობა. უოველსავე ამაში ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ბ. უმწიფარიძეს; ამასთანავე ზემოთ აღწერილი გარემოება ცხადია, უნდა აწუხებდეს ყველას, ვისაც კი სწავლა-განათლების საქმისათვის ჩვენში გული შესტკივა. ვიმეორებთ, მართალი ბძანდება ბ. უმწიფარიძე, მაგრამ იმის შენიშვნაში ისეთი ადგილიც მოიპოვება, რომელსაც ჩვენ ვერას გზით ვერ დავეთანხმებით და რომელსაც საზოგადო ხასიათი აქვს.

ბ. უმწიფარიძე ერთობ სასტიკად ეპყრობა ახალგაზდობის იმ ნაწილსა, რომელიც თვით «უხეიროდ მოწყობილმა ცხოვრებამ» უმოწყალოდ დასჩაგრა და გზა თელილიდამ უვალზე გარდააყენა. ბ. უმწიფარიძე ამბობს, რომ «უხეიროდ მოწყობილმა ცხოვრებამ დაჰბადა ჩვენში ყმაწვილობის ერთ გვარი ტიპი, რომელთაც, თუ თქვენი ნებაც იქნება, ყველაზე უფრო შეშვენისთ «წოწიალისტების» სახელიო. ამათ გუნდს შეადგენენ გიმნაზია, სემინარია და სხვა სასწავლებელ დაუსრულებელი ყმაწვილები, რომელნიც ვერ მიმხვდარან საკუთარის ნიჭის ძალას და მოწოდებას, არ იციან, რა გზას დაადგნენ, ვერ შეუდგენიათ ცხოვრების გარკვეული პრინციპი და მოქმედების პროგრამა და სხვ. და სხვ.» ამ სიტყვებიდამ ისეთი დასკვნაც შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ ყველას, ვისაც კი სხვა-და-სხვა კურსები დაუსრულებია და დიპლომები აუწაპნიათ, ცხოვრების გარკვეული პრინციპიც შეუდგენიათ და მოქმედების პროგრამაც; ამისათვის საზოგადოების და ხალხისთვის სასარგებლო წევრნი არიან და «წოწიალისტების» გუნდს არ ეკუთვნიან, კურს დაუსრულებელნი, უდიპლომოები კი ყოვლად გამოუდეგარნი და მავნენიც არიან. იმედი გვაქვს, ბ. უმწიფარიძე დაგვეთანხმება, რომ ამ გვარი აზრი, თუმცა ის კანონიერი დასკვნაა მისივე სიტყვებიდგან, სრულიად უსაფუძვლოა; ცხოვრების პრინციპის და მოქმედების პროგრამის გამოურკვეველნი მოიპოვებიან როგორც კურს-შეუსრულებულთა, ისე კურს შესრულებულთა შორის; მართალია ამ უკანასკნელთა «საწოწიალო» არა აქვთ-რა, რადგანაც მათს უმრავლესობას საშუალება მისცემია უტანჯველად და უშრომელად ცხოვრებაში გზის მოსაპოვებლად; ეს უმრავლესობა დაეკითხება არა თავის ნიჭსა და მოწოდებასა, არამედ იმ ქაღალდსა, რომელიც მას უპირატესობას აძლევს და, როცა ერთხელვე მოექცევა ცხოვრების კალაპოტში, მერე მას სრულიად არა მართებს «წოწიალი» ადგილიდამ ადგილზე. მაგრამ, რომ დიპლომი და კურსის შესრულება არ არის საბუთი გონების განვითარებისა და მაღალი ზნეობისა, ეს ცხადია ყველასთვის, ვინც ცხოვრებას ცოტათიმაინც დაჰკვირვებია.

ჩვენ ამით ის კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ ვითომც დიპლომი და კურსის შესრულება იყოს მიზეზი დიპლომიანთა და კურს-შესრულებულთა უმრავლესობის უვარგისობისა; ამის თანა სამწუხარო მოვლენის მიზეზია არა თვით დიპლომი, არამედ სკოლა, რომელიც სჩაგრავს მოზარდის თაობის ბუნებას. ეს გარემოება ერთობ ცხადი და ჭეშმარიტია და ამ გვარი სკოლა, რომელიც ვერ არის პედაგოგიურ პრინციპზე აგებული, ხშირად სდევნის ნიჭიერს ყმაწვილებსა, რომელნიც იძულებულნი შეიქნებიან ხოლმე ან სულ თავი დაანებონ სწავლასა, ან ებრძოლონ გარემოებათა და რაიმე განათლება მაინც შეიძინონ. აი, ამათ შორის ხშირად მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც მოეკიდებიან ხოლმე პატიოსანს შრომას და ემსახურებიან საზოგადო საქმეს იმოდენად, რაოდენათაც ნებას აძლევს გარემოება. იმათს გუნდში ხშირად შეხვდებით პატიოსანს და მშრომელს სოფლის მასწავლებელს, ლიტერატორს და სხვ. და სხვ.; მაგრამ ესენი არ მოჩანან ასპარეზზე, რადგანაც ყოველივე გარემოება მათ სჩაგრავს.

დაეკითხეთ, ბ. უმწიფარიძე, ამათ გუნდს, თუ რათ უჯდებათ მათ ცხოვრებასთან ბრძოლა, თუ რამ აიძულა ისინი ოფიციალურად სწავლა შეეწყვიტათ. უოველივე ესე მხედველობაში რომ მივიღოთ, მაშინ ბ. უმწიფარიძესავით სასტიკად ვერ მოვეპყრობით იმათ, ვიზედაცა ვლაპარაკობთ.

საჭიროდ ვრაცხთ კიდევ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ; შეიძლება, ზოგიერთმა იფიქროს, ვითომც ჩვენ ვურჩევდეთ ახალგაზდობას კურს-შეუსრულებლობას, ან უდიპლომობას; არა, ამას ჩვენ არასოდეს და არავის არ ვურჩევთ, მხოლოდ ვიტყვით იმას, რომ მარტო კურსის შესრულება, ან დიპლომის მიღება ვერას უშველის და საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრად ვერ შეჰქმნის მას, ვისაც გონება და ხასიათი ვერ შეუმუშავებია და ცხოვრების წინამძღოლი აზრი ვერ დაუდგენია.

## შინაური ქრონიკა

კვირა დილით ჩვენი ქალაქი დიდის ამბით და ყოფით მიეგება დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელიც სწორედ დილის შვიდ საათზედ მობძანდა რკინის გზის სტანციაზედ უარაიდამ, სადაც ორი დღე ნადირობაში გაატარა. სტანციაზედ დიდს მთავარს მიეგებნენ თავად-აზნაურობა, ქალაქის წარმომადგენელნი და აუარებელი ხალხი. ქალაქის თავმა მშვენიერი სიტყვა მოახსენა და მიართვა სახელოსნო სკოლის მოწაფეებისაგან გაკეთებული ხის ბლუდზედ პური და მარილი. შემდეგ დიდმა მთავარმა დიდუბის მინდორზედ დახედა ჯარსა და მასუკან ქალაქისკენ გაემგზავრა. [illegible] ხალხი იყო მოგროვილი [illegible]ლის მხრიდამ ყვავილების თაიგულებს ისროდენ. დიდმა მთავარმა მოისმინა პარაკლისი ქალების ინსტიტუტში, სასახლეში ისაუზმა და თერთმეტს საათზედ უკანვე დაბრუნდა. ხალხი ჯერ ისევ არ დაშლილიყო და ყველგან ალტაცების კიჟინა მოისმოდა. იუნკრების სასწავლებელთან მოენდომნათ ცხენების გამოშვება და ხელით წაღება ეკიპაჟისა, მაგრამ ამ უწესო საქციელისათვის დიდს მთავარს თითონვე დაეტუქსნა იუნკრები.

თორმეტ საათზედ რკინის გზის მატარებელი დაიძრა და დიდი მთავარი ბათუმისკენ გაემგზავრა, რომ იქიდამ პირ-და-პირ პეტერბურგში წაბძანდეს.

«კავკაზი» გვატყობინებს, რომ მალე ჩვენს ქალაქში მოვა სახელმწიფო ქონების მინისტრთან ოსტროვსკისთან ერთად იმისი ძმა გამოჩენილი რუსის დრამატურგი ოსტროვსკი.

ალავერდობას ერთი უსიამოვნო ამბავი მომხდარა:

ერთი ვიღაც შეზარხოშებული იმერელი დადიოდა თურმე ცხენით ხალხში იმ მხარეზედ, სადაც მოვაჭრეების ფანჩატურები იყო გამართული. ერთმა ვიღაც კინტურად ჩაცმულმა იმერელს შეაგინა, — იმერელმა, რასაკვირველია, ძალიან იწყინა და ცხენი მიაგდო ზედ და კიდევ განმეორებით რომ გაიგონა შეგინება, მაშინ იმერელმა იძრო ხმალი და ყბაში დასჭრა მაგინებელი.

ამ დროს წამოეპარა რამოდენიმე მოვაჭრე, ეცნენ იმერელს, გადმოიღეს ცხენიდგან და დაუწყეს უწყალოდ ცემა! თან ცხენი ათრევდა, რადგანაც ფეხი აბჟანდაში ჰქონდა გაკეთებული. ამ დროს მოვარდა ერთი ავალიანი და იმერელი გადაარჩინა სიკვდილისაგან. მოვაჭრეებმა იერიშით შეუტიეს ავალიანს და დაიწყეს ყვირილი: «მოვკლათ!» «მოვკ-

---

ყურსაც მისწდომოდა, — მურთუზას ეგ ბალახი შენთვის მოაქვს, მაგრამ დარცხვა და პირ-და-პირ ველარა სთქვა.

მურთუზა ამ სიტყვებზედ ერთბაშად შესდგა, გაშტერდა და წუთს შემდეგ ტვირთი მიწაზედ დააგდო.

ის წყნარად მიუახლოვდა მოსაუბრეთ და სულთის მიუბრუნდა.

— უურმა თუ არ მიმტყუნა?

— არა... და-ძმად გავიფიცენით.

მურთუზა გაბრუნდა ციციასკენ, მივიდა, მარცხენა ხელით ხელი გამოართვა, მარჯვენათი მოიხადა ქუდი და ღმერთის სახელის ხსენების შემდეგ, უთხრა:

— სულთი ჩემი ძმად ნაფიცია, თქვენ და-ძმად გაფიცულხართ... დღეის იქით ჩემი დაცა ხარ.... მოღალატეს გაჭირვებაში ღმერთმა უღალატოს!

ამ სიტყვების შემდეგ თითონვე დაუმატა «ომენ» და გააგრძელა:

— მურთუზა დღეის იქით შენ გეკუთვნის, გამოიყენე თუ რაიმე დაგჭირდეს.

ქალმა მადლი გადუხადა და ყველანი ხელ-ახლად გაჩაღებულს ცეცხლს შემოუსხდენ.

ჩქარა ჩავიდა მზე და დღის სიცხე ღამის სიომ შესცვალა. მთვარე ნაზად, მედიდურად ამოვიდა და მოალერსე სხივი მოჰფინა არე-მარეს. ფრინველები, რომელნიც ტკბილის ჭიკჭიკით დღეს ესალმებოდენ, გაჩუმდენ და იმათ ადგილას ტურების წკავწკავი და მგლების ყმუილი გაისმა. თითქოს მზის ჩასვლაზედ, ბუნებაც სხვა ახალის ცხოველებით შეიცვალა.

ამისთანა ღამეს შეყვარებული გული ალერსს ითხოვს, ვაჟკაცი — მამაცობას, მაგრამ იქ მყოფნი უწინდელის მღელვარებით ისე დაწყვეტილნი იყვნენ, რომ ფიქრის თავიც-კი აღარა ჰქონდათ.

მაგრამ მურთუზას მაინც ერთი არ ავიწყდებოდა და ეს ერთი იყო სურვილი ჩქარა პური ეჭამა.

ახლად-დართული სამწვადეების სუნი ტრიალებდა ჰაერში და მადას ულვიძებდა. ამასვე შველოდა წმინდა ჰაერი, რომელსაც ყვავილთ სურნელება შერეოდა, თითქოს ესენიც თავის მოარშიყე მთვარეს გუნდრუკს უკმევდენ.

მურთუზას სურვილი ჩქარა აღსრულდა და მწვადები მომზადდა. იმან გაშმაგებით ხელი გაუსვა და ჰკვირობდა, რომ მისი ამხანაგები ასე გულგრილად ეკიდებოდენ გემრიელს და მსუქანს «გავა-დუმებს».

როდესაც ვახშამი გათავდა, სულთიმ მურთუზას შეატყობინა თავის გადაწყვეტილება ციციას დაბრუნების შესახებ და რჩევა ჰკითხა. მურთუზა ჩაფიქრდა და ცოტა სიჩუმის შემდეგ წამოიძახა:

— შენი წასვლა არ იქნების.

— რად არა?

— იმად, რომ აბრეგად (ყაჩაღად) ხარ გავარდნილი. ვინც მოგკლავს, ან ცოცხალს დაგიჭერს, ჩინი და ფული აქვს დაპირებული.

— მერე რა?

— ავი კაცი ქვეყანაზედ ბევრია, — გამოცდილებით უპასუხა მურთუზამ.

— მაშ იმათის შიშით გარეთ აღარ უნდა გავიდე?

— რად არა, მაგრამ ძალად თავის ფათერაკში გაბმა რაი «ხელსაყარია»?

— მაშ რა ვქნათ?

— მე წავალ.

— შენა?.. შენც ჩემს მდგომარეობაში არა ხარ?..

— რას უბნობ? — ცოტა შეტევით და ოხვრით წარმოსთქვა მურთუზამ და წარბებ შეჭმუხვნილმა დაუმატა:

— მე რა შენთან ჩასათვლელი ვარ? დავრჩები, ცხვრის ტყავი ვარ, მოვკვდები თხისა...

ლათოა»! მაგრამ ავალიანი არ შეეპოვა და მთელს გამგელებულს ხროვას მარტო სცემდა პასუხს. აქ შეჰქნეს მოვაჭრეებმა ყვირილი: «დაჰკარით» მაგათ, «დაჰკარით!» ხუთიოდ უბრალო გამვლელ გლეხებს კეტები დაუშინეს. ამ ხმაზედ შეყრილიყვნენ ვაჭრები ორასამდე—თელაველები, სიღნაღელები და ქალაქელებიც.

ეს ამბავი შეიტყო თავად-აზნაურობამ და იმათაც დაუშინეს ვაჭრებს!! დაუშინეს ისე, რომ მათრახის ტკაცატკუცი შორს გაისმოდა. ვაჭრები დაფთხნენ, ცუდი საქმეც დაემართებოდათ, რომ მთის ხალხსა და ყველა გლეხებს გაეგოთ ეს ამბავი. ძალიან მხნედ მოიქცა თიანეთის მაზრის უფროსი თ-დი ლ. ჯანდიერი. როგორც იყო დაამშვიდა აღელვებული ქართველობა!! ვაჭრები მაშინათვე აიბარგნენ და აქეთ-იქით მიიმალნენ.

იმავე საღამოზედ ალავერდობიდგან წამოსულ იმერელს ა. გ—ს დაუხვდენ ოც-და-ათამდის ვაჭარი და დაეშინათ ქვა, კეტი, ხმლებიც კი ამოელოთ; მოენდომებინათ მოსაკლავად, მაგრამ ა. გ—ს ეძრო ხმალი და სამი კაცი დაეჭრა.

## «დროების» კორესპონდენცია.

### სურამ-ხაშურის ამბები.

20 სექტემბერს.

სურამ-ხაშური (მეტადრე სურამი) მდებარეობით და ჰაერით ერთი საუკეთესო სოფლებთაგანია. ეს გარემოება აუარებელ ხალხს იწვევს სურამში საზაფხულოდ და სურამის მნიშვნელობას ერთი ასად ჰხდის და ვაჭრობას ხელს უწყობს.

ერთის შეხედვით თითქო სიცოცხლე დუღს, ეტყობა სურამ-ხაშურის მოძრაობა, თითქო პროგრესის კიბესაც «ეტოტინება», მაგრამ ყოვლივე ეს თვალის-მოსატყუებელია და სხვა არაფერი: ღამე ქურდები არხეინად დასეირნობენ და გათამამებულნი მძინარე ხალხს ტანისამოსსაც კი ჰპარვენ. გაგვიცარცვეს საგანგებოდ «კავალრად» მოკაზმული მ. ყ—ნი, მოჰპარეს ჩერქესკა, ქამარი, საათი და ფული; მოჰპარეს ორ ყმაწვილს ტანისამოსი, გაჰქურდეს თ. ლ. ხიდირბეგოშვილი, გაჰქურდეს სავანელი დ.; ასე გასინჯეთ, ქურდები ტივის ხეებსაც კი არ იწუნებენ, ეს სულ დაჭეშმარიტებული ფაქტებია და იმედია; პოლიცია თავისი განკარგულებით აღმოაჩენს რამ შემაწუხებლების ჯგანს.

სურამის «შავხიდს» ღამის, გორის ხიდის თავ გადასავალი ეწვიოს: მთელი ხალხი ურმით თუ ცხენით აქ დადის და ეს ხიდი კი ისეა დაზიანებული, რომ პოლიციასაც კი გული შესტკივა, თუ ერთხელ მაინც დააკვირდა ამ არხეოლოგიურ ნაშთს.

ამისთანა დიდ სოფელს, როგორიც არის სურამი, ერთ-კლასიანი სასწავლებელიც არ აბადია. განა არ შეეძლოთ ჩაეგონებინათ ხალხისთვის სკოლა გაემართათ? განა დიდი შრომა დასჭირდებოდა? მაგრამ, მახლას, ქალაქის თამაშობის სკოლა ვიღამ აწარმოოს და ზახუსის უნივერსიტეტის ლექციები ვიღამ უკითხოს «ზახუსის» ალერსით გაჟინთულ «სტუდენტებს! რამდენჯერ გამიგონია აქაური სულიერმამისაგან და ბევრის სხვებისაგანაც: «სურამში არაფერ კეთილ საქმეს არ შეუძლიან იწარმოვოსო, სხვა-და-სხვა ჯურის ხალხით არის სურამი სავსეო. ეს ტყუილი ცილის წამებაა სურამელებზე. ესენი იმდენად მიხვედრილები არიან ცხოვრების პრაქტიკულ მხარეს, რომ თავის დღეში განათლების სხივებს პირს არ მოარიდებენ. ჩამგონებელი თუ არა, საქმის დამწყობი მაინც უნდა და მაშინ ყოველს დაბრკოლებას ბოლო მოეღება, საქმე დაგვირგვინდება. ჩასციებიან დალოცვილი შვილები ერთ გარემოებას და თავ მიზეზად საზოგადო სკოლის უქონლობისას ამასა სთვლიან: «სომხებს თავისი საკუთარი სკოლა აქვთო და ამისთვის საზოგადო სკოლაზე ზრუნვა ამათთვის მეტიაო». ვარწმუნებ მკითხველს და თვით სურამის «მითომ» მზრუნველ მამასაც, რომ ისეთი მამარიულობის სკოლა, როგორიც არის «სურამის სომხური საეკლესიო» სკოლა სრულიადაც არ ეჭაშნიკება სომხებს, რადგანაც ეს სრულიად არ აკმაყოფილებს აქაურების პრაქტიკულ მოთხოვნილებას. აქაური სომეხი თუ აძლევს სკოლაში ბავშვს, რაიმე ეროვნული კითხვები და გრძნობა კი არ ახელმძღვანელებს, ის ჰფიქრობს: «ჩემმა ბავშმა აგება» დავთრების წერა ისწავლოს, რომ დახლზე დავსვაო» ერთის სიტყვით, აქაური სომეხი პრაქტიკის ხალხია და სკოლას სარგებლობის თვალით უცქერის. ამ მოსაზრების ძალით სურამელი სომეხი ვერაფრის თვალით უცქერის სომხურ ენის სწავლებას და ღვიძლი ენის (ქართულის) უკან ჩამორჩომას.

რამდენჯერმე მომისხდა მე თვითონ სკოლის გადათვალიერება და უნდა გაგიტყდეთ, ისეთი «ინკვიზიცია», როგორიც აქა სუფევს, ჯერ არ უნახავს ჩემს თვალებს და არა სმენია ჩემს ყურებს: ყვირილი, ცემა-ტყეპა, დაჩოქება, გარეთ გაგდება და სხვა-და-სხვა სასჯელნი გამხდარან სკოლის საკუთრებად; ბავშვები ზარ-დაცემულნი არიან; ნუ თუ ამ პედაგოგებისთვის კი არ არსებობს ნაციონალური პედაგოგია?

ამ აღწერის შემდგომ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა თვალით უცქერიან ამ სკოლას ადგილობრივი სომხები და რა სიხარულით მიეგებებიან ახალ საზოგადო სკოლას, სადაც სწავლა მათთვის გასაგებ ენაზე იქნება და პირ-და-პირ დააკმაყოფილებს მათს სურვილს.

## რუსეთი

— პეტერბურგში ხმები გავრცელებულა ადგილობრივს პედაგოგიურს წრეებში, ვითომც ჰფიქრობდენ უნივერსიტეტებში შემომსვლელი სტუდენტების რიცხვი შეამცირონ ყოველწლივ 300 კაცამდინ პეტერბურგისა და მოსკოვისაში და 200-მდინ ყაზანის კიევის, ვარშავის, ხარკოვის და ოდესის უნივერსიტეტებში. უწინდებურ კვალობაზე მარტო დერპტის და ჰელსინგფორსის უნივერსიტეტები დარჩებიან.

— ხმებია აგრეთვე, ვითომც განზრახვა ჰქონდეთ მიმავალი სამოსწავლო წლის მეორე ნახევრიდამ მთელ იმპერიის უნივერსიტეტებში გადებული რეპეტიციები შემოიღონ ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. როგორც ამბობენ, ეს რეპეტიციები ყოველ თვე და ყოველ საგანზე იქნება. ის სტუდენტები, რომელნიც კარგს ბალს ვერ მიიღებენ, წლიურს ეგზამენს არ დააჭერინებენ და იმათაც, ვინც სულ მაღალს ბალებს მიიღებენ, სრულიად გაათავისუფლებენ წლიური ეგზამენიდგან.

— სტატისტიკის გამოანგარიშებით პეტერბურგში არსებობს 158 სხვა-და-სხვა ნაირი სკოლა და მაინც კიდევ უსწავლელად რჩება ცამეტი ათასი სხვა-და-სხვა წლოვანების ყმაწვილი. აქედამ სჩანს, რომ სწავლის მოთხოვნილება ისე ძლიერია, რომ ამოდენა სკოლებსაც ვეღარ დაუკმაყოფილებია ის.

## უცხოეთი

— როგორც გაზეთები გვაუწყებენ, ვენელები ძლიერ გაბოროტებულნი თურმე არიან რუსეთზე: «თუ ოდესმე—ლაპარაკობენ იქ— რუსეთი იარაღით ჩაერია ბულგარიის საქმეში, მაშინ ევროპას ეცოდინება, რომ ბულგარიის გულისთვის კი არა, აღმოსავლეთის კითხვის ასატეხად ერევა იგი. ორი კვირის წინად სოფიიდგან მოვიდა ვენაში ამბავი, რომ იქ რუსეთიდამ დიდ-ძალი იარაღი და საომარი მასალები მისულა და ვითომც რუსის ოფიცრებს ეთქვათ, რომ მომავალს გაზაფხულზე ბულგარიაში იქნება 30000 კაცამდე რუსის ჯარი. თუ ეს მართლა ასე მოხდა, უეჭველია, ოსმალეთი წინაამდეგობას გაუწევს და დიდთა სახელმწიფოთ წარუდგენს ნოტას თვის «უზენაესთა უფლებათა» შესახებ და ბერლინის ტრაქტატის დაცვის თაობაზე; თუ რუსე-

---

ყველანი გაჩუმდენ, რადგანაც მურთუზაზ სახეზედ წარმოუთქმელმა მწუხარებამ თავისი ბეჭედი გამოსახა. აშკარად ეტყობოდა რომელიმე სურათი წარსულის უბედურებისა. თვალწინ წარმოსდგენოდა და გულს უღრღნიდა, უთუთქამდა. ცოტა მჭმუნვარების შემდეგ კიდევ როგორღაც გაშმაგებით ამოიოხრა, გადიქნია თავი და ნაღვლიანად დაუმატა:

— მე სასიც-ცხლო აღარა ვარ, არა!.... იდუმალებით გაათავა და მერე თითქოს მხიარულად წამოიძახა: მე წავალ, მე ფიქრი არმინდა...

მურთუზამ დაიწყო ძალ-დატანებული ხუმრობა და სიცილი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ნაღველით იყო გავსებული ყოველი სიტყვა, როგორ მომეტებულს მწუხარებას გამოსთქვამდა ყოველი ღიმება!..

სულთიმ და ციციამ იგრძნეს მურთუზას უბედურება, იგრძნეს, რომ იმ გვარს მდგომარეობაში მყოფის კაცის ნუგეშინის ცემა, როგორშიაც მურთუზა იყო,—მომეტებულად მოუწამლავდა სიცოცხლეს. ამისთვის სრული სიჩუმე ჩამოვარდა და ცოტახანს შემდეგ გადაწყდა, რომ მურთუზას სურვილი აღესრულებინათ.

ამხანაგები წამოდგნენ, მოიტანეს მურთუზასგან მოტანილი ხმელი ბალახი და ციციას გაუშალეს.

ყველანი გამოესალმნენ ერთმანერთს და მიწვნენ დასაძინებლად; ციცია ბალახით მომზადებულს რბილს საგებელზედ და სულთი და მურთუზა-კი «ყისინებში» გახვეულები მწვანე ველზედ.

XIV

როდესაც კაცი იმ ცხოვრებას გამოუდგება, რომლითაც ჩვენი ორი გმირი სცხოვრებდენ, მუდამ წყვეტება და დაღალვა, მუდამ ბრძოლა და გრძნობით მღელვარება და ამის გამო წარმოუთქმელი მოუსვენარი ცხოვრება აჩვევს მიწოლასთან ერთად დაძინებასაც, მაგრამ დღევანდელი დღე სრულიად განსაკუთრებულის შემთხვევებით სავსე იყო, რომ ძილს ვისთვისმე თვალები დაეხუჭა და ტკბილის განსვენებისთვის მიეცა.

ყველანი გაჩუმებულიყვნენ, და მათთვის მიებაძა ბუნებასაც. მშვიდობიანობას არღვევდა ცხენების იშვიათი ფრუტუნი, წყაროს ტკბილი ჩუხჩუხი, რომელიც იქვე ჩამოჩხრიალებდა და გაყუჩებულს ხალხსა და ბუნებას წყნარს ნანას ეუბნებოდა.

მთვარე წყნარად, ნათლად და მედიდურად საითკენღაც მიეშურებოდა, თითქოს ეშინოდა სხვა ქვეყნების დატკბობაც არ დაჰგვიანებოდა, სხვა ადგილების გაბრწყინვებაც არ დასცდენოდა.

წყარო ამაოდ ეუბნებოდა წყნარსა და ტკბილს ნანას, მთვარე უბრალოდ ესროდა დამატკბობელს სხივს, ტყუილად დაჰქროდა დამამშვიდებელი ნიავი, ჩვენს მგზავრებს ძილი გასტეხოდათ და ყველანი თავ-თავის საგონებელს წაეღო.

საზოგადოდ დამშვიდებული მურთუზა ისეთს მოუსვენებლობას ჰგრძნობდა, რომ იმ ადგილს, სადაც იწვა, ველარ დადგა, დაღონებული წყაროს პირს ჩავიდა და იქ ცივის წყლით გახურებულის პირისახის და შუბლის გაგრილება უნდოდა.

სულთი წამდ-და-უწუმ ტრიალებდა და როგორც უნდა დაწოლილიყო, მაინც მოსვენებას ვერ ეღირსა. ციცია, თუმცა არ ინძრეოდა, მაგრამ ძილი არ მიჰკარებოდა და ბეჟიაზედ ფიქრი ათას გვარს საიმედო სურათებს უხატავდა.

ა. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის პოლიტიკოსნი ამ ნოტას ყურადღებას არ მიაქცევენ, მაშინ შუა ევროპის სახელმწიფოთაც, რომელნიც მშვიდობიანობას ზღუდვენ, მიეცემათ შემთხვევა თვისი ძალაც გამოაჩინონ».

— სერბიიდგან იწერებიან, რომ ბელგრადში ყოფილა სერბიელი რადიკალების კრება და ამ პარტიის მოთავეედ ინჟენერი პასიჩი ამოურჩევიათ. პასიჩს დაახლოვებით შემდეგი სიტყვები წარმოუთქვამს კრებაზე: «სკუპშჩინის რადიკალური უმრავლესობა უნდა ეცადოს კონსტიტუციის გარდახილვა მოახდენინოს. საჭიროა ხალხს მიეცეს: ბეჭდვის თავისუფლება, საერთო თავისუფლება, თავისუფლად ამორჩეული სკუპშჩინა და პირადი უშიშროება. უნდა დაწესდეს კონტროლი, რომ ბიუჯეტას დაფარული დეფიციტი აღმოაჩინოს. მეტი დაწესებულებანი უნდა გაუქმდენ და აქედამ უნდა შეივსოს დეფიციტი. პარტია პირველად უნდა ეცადოს ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ნიშ-პიროტის რკინის გზა მმართებლობამ ერთს კომპანიას მისცა სკუპშჩინის დაუკითხავად; არ შეიძლება მმართებლობის კონსტიტუციის წინაალმდეგი საიდუმლო ხელთ-შეკრულებანი კანონიერად იცნან». გარეშე პოლიტიკის შესახებ პასიჩმა სთქვა: «სერბია უნდა ეცადოს, რომ ის სხვა სახელმწიფოების მტაცებლობის ასპარეზად არ იყოს, მან უნდა იშრომოს ბალკანის ფედერაციისთვისა». რადიკალური პარტიის დეპუტატებს და წარმომადგენლებს ერთხმად მიუღიათ ეს წინადადებანი.

ბელგრადიდგანვე იწერებიან, ვითომც მინისტრებს გადაეწყვიტოთ, რომ დაითხოვონ სამსახურიდგან ის მოხელეები, რომელნიც მმართებლობის მოწინააღმდეგე კანდიდატებს ემხრობოდენ ამორჩევის დროს.

— რომიდამ იწერებიან, რომ ისკიის მიწის ძვრის დროს ნამდვილი გამოანგარიშებით 1990 კაცი მომკვდარა და 374-ც დაჭრილა.

— ინგლისის მუქარას ისე შეუშინებია სულთანი, რომ—როგორც კონსტანტინოპოლიდგან იწერებიან—მუხთარ ფაშისთვის ბძანება გაუგზავნია, გამოუცხადოს ბერლინში, რომ ოსმალეთს ჰსურს ავსტრიის და გერმანიის კავშირს შეუერთდესო.

# განცხადებანი

—

## კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზი

საყოველთაო საცნობლად აცხადებს, რომ ვადა-გასული მოძრავი გირაოები, ე. ი. ვერცხლის, ოქროსი და სხვა გვარი ძვირფასი ნივთები, რომელნიც დაგირავებულნი იყვნენ 1882 წლის სექტემბრის 1-ლიდგან ამ წლის თებერვლის 1-ლამდის, იქნებიან აუქციონით გასყიდულნი ხსენებულს პრიკაზში.

ვაჭრობა დაიწყობა ოქტომბრის 8 გან და იქნება ყოველ შაბათობით. ამის გამო ნივთების პატრონებს უმორჩილესად სთხოვენ დაგირავებული ნივთები გამოისყიდონ, ან ხელ-ახლად გადააგირაონ. (3—2)

---

კერძო საქმეების ვექილი პ. მ. ალბედინსკი

გადავიდა სოლოლაკის ქუჩაზედ, სპანდარიანცის სახლში, № 42, საადგილ-მამულო ბანკის პირ-და-პირ. (10—2)

---

გამოვიდა და ისყიდება «Первый Шагъ»—რუსული ენის სახელ-მძღვანელო ქართულ სკოლებში სახმარებლად, შედ. აღნიაშვილისაგან; ისყიდება ცენტრალურ წიგნის სავაჭროში, ფასი 40 კაპ. (6—3)

---

# დავით კეზელი

აწარმოებს ყველა ნაირ საქმეებს, განსაკუთრებით სასისხლო სამართალში.

სასპიორნის ქუჩა, ზაბლოცკის სახლი. (10—4)

---

# ინგლისის მაღაზია

## Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| - — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—42)

---

მე დავკარგე თბილისსა და ქუთაისს შუა ატესტატი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდამ მოცემული. მპოვნელსა ვსთხოვ წარმოადგინოს იმერეთის ეპარხიის კანცელარიაში და საჩუქარს მიიღებს. ბესარიონ ჭობახიძე. (3—2)

---

# კავკაზიის წყალი

ეკუთვნის მარტო

ვარშავის ქიმიურ ლაბარატორიას.

ეს წყალი ჩადის მაგიერობას საუკეთესო და ნაზი ყვავილების ოდეკოლონისას. შეიძლება მიიღოთ თორმეტ-ნაირის სუნისა, რომელიც დიდი ხანი რჩება: იისა, რეზედასი, ჰელიოტროპისა, კავკაზიის თივისა, ვარდისა, პიატიგორსკის თაიგულისა, ზამბახისა და სხვ.

ფასი ფლაკონისა 1 მან. 50 კაპ.

უმთავრესი დეპო ვარშავაში.

С-то Ерская ул. № 12.

ვინც ერთბაშად იყიდის, ფასი კარგად დაუკლდებათ. (3—1)

---

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზა.

# განცხადება

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის მმართველობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სეკტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის წასვლა-წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით, იმ მატარებლებში კი, რომელნიც მუდამ დადიან—მცხეთის მოგზაურნი არ მიიღებიან.

30 სეკტემბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
|---|---|
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ოქტომბერს

| | | | |
|---|---|---|---|
| დილისა | 7 საათზე 12 მინუტზე | დილისა | 8 საათ. 21 მინ. |
| | 9 საათზე 15 მინუტზე | | 10 საათ. 10 მინ. |
| | 10 საათზე 23 მინუტზე | | 11 საათ. 32 მინ. |
| | 11 საათზე 35 მინუტზე | შუადღისას | 12 საათ. 40 მინ. |
| შუადღისას | 2 საათზე 42 მინუტზე | | 4 საათ. 25 მინ. |
| | 4 საათზე 28 მინუტზე | | 5 საათ. 35 მინ. |
| | 5 საათზე 39 მინუტზე | | 6 საათ. 45 მინ. |
| ღამისა | 6 საათზე 48 მინუტზე | ღამისა | 8 საათ. 20 მინ. |

ბილეთები გაიყიდება მარტო ტფილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელად. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო იმ საგანგებო მატარებლებით, რომელნიც 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს მატარებელში იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში 600, ამისათვის მოგზაურებს არ შეუძლიათ საყვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლად დაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სხვა პოეზდს.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოდ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთის მოედანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის ათს საათამდინ.

ის პირნი, რომელნიც ისურვებენ საგანგებო მატარებლებით წამოსვლას 30 სეკტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთიდამ თბილისში, იმათთვის ბილეთები გაიყიდება მცხეთაში.. (3—2)

Дозв. цензур. Тифлисъ, 27 Сентября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.